# ხელშეკრულება №240
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

*ქ. თბილისი*

*4 დეკემბერი 2015 წელი*

ერთი მხრივ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში–შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ბურამ სალუქვაძის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „ვი თი ჯგუფი" (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან გოგიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საკუთარი სახსრებით სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად (CVP60170000), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად.

## *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას 2015 წლის 6 დეკემბერს (8:00 სთ-ზე) უზრუნველყოს ცენტრის 20 წარმომადგენლის ტრანსპორტირება მიმართულებით ქ.თბილისი-ქ.თელავი-ქ.თბილისი.

## *3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში, ცხრილში მოცემული გრაფიკის და ფასების შესაბამისად.

| მანქანის ტიპი | თარიღი | მანქანების რაოდენობა | დღეების რაოდენობა | მიმართულება | ერთ.ფასი | საერთო ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიკროავტობუსი | 6.12.2015 | 1 | 1 | ქ.თბილისი-ქ.თელავი-ქ.თბილისი | 338.98 | 338.98 |
| | | | | | დღგ 18% | 61.02 |
| | | | | | ჯამი, დღგ-ს ჩათვლით | 400 |

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა ***400 (ოთხასი) ლარი,*** დღგ-ს ჩათვლით.

## *4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
4.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს **საკუთარი სახსრებიდან.**
4.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას 2015 წლის 6 დეკემბერს (8:00 სთ-ზე) უზრუნველყოს ცენტრის 20 წარმომადგენლის ტრანსპორტირება მიმართულებით ქ.თბილისი-თელავი-ქ.თბილისი.

## *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## *7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი*

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
7.2. სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს ტექნიკურად გამართული და მგზავრობისთვის კომფორტული (მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მიმწოდებელს).

## *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის შემდგომ და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრამდე, მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე.

## *10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 %-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო არაუგვიანეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – 6.ესართია.
14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## *15. ინტერესთა კონფლიქტი*

15.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

## *16. სხვა პირობები*

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## *17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
ქ.თბილისი, მინდელის ქ.№9
ს/კ 202198727
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა/ა 707627112

დირექტორის მ/შ:
ზურაბ სალუქვაძე

---

**მიმწოდებელი:**

შპს „ვი თი ჯგუფი"
ქ.თბილისი, გივი კარტოზიას ქ.№6
ს/კ 205143824
ს.ს. „საქართველოს ბანკი" ც/ფ
ა/ა GE72BG0000000212860000
ბ/კ BAGAGE 22

დირექტორი:
ლევან გოგია

---

## მიღება-ჩაბარების აქტი 240

2015 წლის 4 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №240-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ

*7 დეკემბერი 2015 წელი*

*ქ.თბილისი*

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში–შემსყიდველი) წარმომადგენელი და, მეორეს მხრივ, შპს „ვი თი ჯგუფი"-ს წარმომადგენელი (შემდგომში–მიმწოდებელი) ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ხელშეკრულება №240-ის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, 2015 წლის 6 დეკემბერს (8:00 სთ-ზე) უზრუნველყო ცენტრის 20 წარმომადგენლის ტრანსპორტირება მიმართულებით ქ.თბილისი-ქ.თელავი-ქ.თბილისი.

| მანქანის ტიპი | თარიღი | მანქანების რაოდენობა | დღეების რაოდენობა | მიმართულება | ერთ.ფასი | საერთო ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიკროავტობუსი | 6.12.2015 | 1 | 1 | ქ.თბილისი-ქ.თელავი-ქ.თბილისი | 338.98 | 338.98 |
| | | | | | დღგ 18% | 61.02 |
| | | | | | ჯამი, დღგ-ს ჩათვლით | 400 |

გაწეული მომსახურების ღირებულებაა ***400 (ოთხასი) ლარი,*** დღგ-ს ჩათვლით.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.
მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №240-ის შესაბამისად წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

**შემსყიდველი**

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული
ცენტრის წარმომადგენელი
ნ. ახართია

---------------------------------------

**მიმწოდებელი**

შპს „ვი თი ჯგუფი"-ს
დირექტორი
ლ. გოგია

---------------------------------------